№ 147 17 ივლისი, სამშაბათი 1866—1879 17 ივლისი, სამშაბათი № 147

დროება

ყოველ დღე ოთხშაბათს გარდა

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. Бареше მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა — 8 მ., ნახევარ წლისა — 5 მ., სამის თვის — 3 მ., ერთის თვისა — 1 მ.

Ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ფასი განცხადებისა: ერთ სტრიქონებით ასოზე 1 კაპ. ჩვეულებრივი ცხელოთი — 5 კაპ., პატარათი — 4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

Ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ნახევარი წლის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

მიიღება რედაქციაში—ბაღის (სადოვის) ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლებში, № 33.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ფასი ნახევარ წლის გაზეთისა, ე. ი. 1 ივლისიდამ წლის დამლევამდინ, გაგზავნით—ხუთი მანეთი.

საქართველო

დღიური

*** Გუშინწინ, კვირა დილას, ცოტა წვიმა ვეეღირსა და ამის გამო მას აქეთ ცოტა აგრილდა; დღესმოღრუბლული დღეა, ეტყობა წვიმას და ავდარს აპირებს.

Ბავლილი სიცხეების გამო, როგორც გვითხრეს, ქალაქში შვიდი კაცი მოკედა, დასიცხა და რამდენიმე ცხენი და სხვა საქონელიც დაიხოცა. მისაც არ შეხვდებოდით, ყველა უძილობას და თავ-ბრუს უჩივდა...

*** სარატოვის გაზეთში დაბეჭდილია შემდეგი ამბავი აქედამ გადასახლებულ ლეკების თაობაზედ:

„ლეკები მოიყვანეს აქ ზღვით „პეტრე დიდის“ ხომალდზე. სულ ას ორმოც-და-ათი ოჯახი იყო. ამ მოკლე ხანში სარატოვში უნდა მოიყვანონ კიდევ დიდ-ძალი გადმოსახლებულები ძაკასიიდამ.

„საბრალო შესახედავი იყო, ეს ხალხი: დაგლეჯილები, მშიერები გაყვითლებულები. რუსებმა დიდი შებრალება გამოუცხადეს ამ საწყლებს: ყმაწვილებს ძველ ტანისამოსს და საჭმელს აძლევდნენ, ზოგმა, განსაკუთრებით ქალებმა, ფულებიც აჩუქეს. ეს თანაგრძნობა და გულ-კეთილობა ჩვენი ხალხის მხრით ამ საბრალო ხალხისადმი მით უფრო საქებია, რომ ყველამ იცის, ეს ხალხი შეცდომით, გამოუცდელობით იტანჯება, რადგან ოსმალეთიდამ მოსული აგენტები და შინაური მქადაგებელნი, მოთავენი, აცდენდნენ ამათ და აქეზებდნენ რუსების წინააღმდეგობაში.

„საზოგადო ყურადღება დაიმსახურა ერთმა ახალგაზდა ლამაზ ლეკმა, რომელსაც რუსის აფიცრის შინელი ეხურა მუპაგონოთ. როგორც შევიტყეთ, ე, ყმაწვილი კაცი ყოფილა ბრაჰიმოვის მილიციის მაიორის შვილი. ამის მამა, შარშანდელ აჯანყებაში მონაწილეობის მიღებისათვის, შარშან სიკტემბერში ჩამოულურჩვიათ, უფროსი ძმა კატორღაში არის 15 წლით გაგზავნილი და ესეც ახლა გამოუგზანიათ ჩვენს გუბერნიაში დასასახლებლად“.

*** ქვემო-მოყვანილი პირი გვთხოვს დავბეჭდოთ გაზეთში შემდეგი წერილი:

„ეს მეორედ არის, რომ ქუთაისის ქართული სცენის მოყვარეთ ითამაშეს ქუთასში ჩემ-და-სასარგებლოდ, და ამიტომ ზნეობით ვალად ვრაცხ ეუფლენა ხსენებულ სცენის მოყვარეთა და ქუთაისის საზოგადოებასაც გულითადი მადლობა ჩემდამი ესრეთი მონაწილეობის მიღებისათვის“.

ოდესა, 5 თიბათვეს.

ნიკო ბალანჩივაძე.

*** ქუთაისიდამ გვწერენ, რომ აქაური სატუსაღო ფუთკარსავით არის ამ ქამად გატენილი თუ უბილეთო ხალხით და თუ სხვა ტუსაღებითო. უბილეთო ხალხს, როგორც თვითონ ქუთაისში დაჭერილებს, აგრეთვე თფილისიდამ გამოგზავნილებს ხუთი-ექვსი დღე იჭერენ აქ და მერე ისტუმრებენ ეტაპით შორაპნისა და ახალ-სენაკისაკენო: ძორრესპონდენტს უკვირს და, მართლაც გასაკვირია, რომ ამ ხალხს პირ-და-პირ თავიანთ უფლების სოფლებში არა გზავნიან, რატომ აჩერებენ ტყუილ-უბრალოდ ამ საპყრობილეშიო?

*** ახალციხიდამ გვწერენ, რომ ერთი თვე გადისო, რაც ჩვენკენ წვიმა არ გვინახავსო და ამის გამო ამ წლის ნამუშევარი ყანები, ბოსტნები და ბაღები სულ ამოწვა სიცხემო.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ უფ. ზ. ბაქრაძე დიდი ხანია შრომობს თურმე ქართული სლოვარის შესადგენად, რომელშიაც მოყვანილია ყველა სახელები ჩვენს ისტორიაში მომქმედ პირებისა და აგრეთვე გამოჩენილი ადგილებისა და სხვ. ეს სახელები ისტორიულად არის ახსნილი და შესანიშნავი პირების ბიოგრაფიული ცნობები არის მოყვანილიო.

*** Გურიიდამ იწერებიან „თფილისის მოამბეში“, რომ წელს ექითკენ სიმინდის და ღომის მოსავალი ყველგან კარგი არისო; მაგრამ ვენახები კი ბევრ ალაგას ისევ ძველებურმა ავათმყოფობამ „ნაცარმა“ გაფუჭო.

იქიდამვე იწერებიან, რომ, რადგან უფზდის ადმინისტრაციამ სასტიკი ღონისძიება იხმარა, ამისგამო ამ უკანასკნელ დროს ქურდობამ და ავაზაკობამ იკლო ჩვენს უფზდეთ.

„დროების“ კორრესპონდენცია

ქუთაისი, 14 ივლისს. უკვეოლია, რომ ჩვენი საზოგადოების ერთი უმთავრეს გამაღვიძებელ და გამაცხოველებელ საშუალებათაგანი არის სამუდამო ქართული თეატრის დაარსება, და ამიტომაც ახლა ამ საგანს ჯეროვანი ყურადღება აქვს მოქცეული.

ჩვენს ქალაქში დიდი ხანია იმართება და კარგათაც იმართება ქართული წარმოდგენები. მაგრამ, თუმცა განათლებულნი და წარჩინებულნი კაცები გვყავს, მაგრამ, ჩვენდა საბოლოოთ, ისინი ჯერ-ჯეროობით ხმას არ ილებენ და სრულებით არასფერს არ ფიქრობენ სამუდამო ტრუპპის შედგენაზე და სცენის გამართვაზე.

ამ ქამად ქუთაისში ამ საქმეზედ აქვს ხელი მოკიდებული მხოლოთ იმისთანა ახალგაზდობას, რომელსაც თითქმის არავითარი ნივთიერი, მატერიალური საშუალების მიცემა არ შეუძლია, გარდა პიესების თარგმნისა და ხმირათ წარმოდგენების გამართვისა; და, როგორც მოგეხსენებათ, ამ ახალგაზდობის წყალობით, წლეულ-დღამდის თფილისზე აქ უფრო კარგათ მიდიოდა თეატრის საქმე და წარმოდგენებიც უფრო ხმირათ იყო.

ყველას ეგონათ, რომ თფილისზე ადრე ქუთაისში მიეცემოდა მტკიცე საფუძველი ქართული თეატრის საქმეს,-პირველად იმიტომ რომ, როგორც ზევით მოგახსენეთ, აქ თითქმის თვეში ორჯერ იმართებოდა, აგერ რვა წლის განმავლობაში, წარმოდგენები და მეორეთ იმიტომ რომ თფილისზე აქ უფრო ბევრი და უფრო ნიჭიერნი სცენის მოყვარენი არიან.

მაგრამ სულ წინააღმდეგი მოხდა: იქ, ენერგიული კაცების შემწეობით, ტრუპპა დაარსდა და აქ კი ისევ უწინდელ მდგომარეობაში დარჩა.

რამდენჯერმე შესდგა აქ სცენის მოყვარეთ წრე; მაგრამ, სამწუხაროთ, ეერა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოდეს ვერ ვნახეთ მისი კეთილი დაბოლოება.

თუმცა სცენის მოყვარენი აძლევენ ამ საქმეს, თავის შეძლებისა-და-გვარად, საშეალებას, თუ თამაშით, თუ პიესების თარგმნით; მაგრამ ეს საკმაო არ არის: აქ საჭიროა იმისთანა კაცების შემწეობა, რომლებსაც გავლენა, პატივი და ნდობა აქეს საზოგადოებაში; უამათოთ ამ საქმეს არა ეშველება რა, როგორც დავრწმუნდით. ამისთანა კაცები საკმაოთ გეყავან; მაგრამ მათი დინძრევა ძნელია, და თუ კი დაინძრენ და ამ საქმეს შეუდგენენ, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ თფილისზე უფრო კარგათ აქ წაიყვანებენ საქმეს.

მივმართავთ ამ გავლენიან და საპატიო კაცებს და ვსთხოვთ, რომ ითავონ ეს საქმე. თუ ენერგიულად მოჰკიდებენ ხელს, ამთავითვე შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ იმათი საზოგადოებისათვის შრომა და ღვაწლი დაგვირგვინებული იქნება. თეატრი შენდება ჩვენში; მაგრამ რად გვინდა ცარიელი თეატრი, თუ ხეირიანი ტრუპპა და მოთამაშეები არ გვეყოლება.

ალ. ბამრეკელოვი.

საბაასო

უფ. ბოარის ქრუჟოკის წევრს.

„დროების“ № 109 მე წავიკითხე თქვენი პასუხი იმ კორრესპონდენციაზედ, რომელსად ძე ვსწერდი № 78 „დროებაში“ შესაგებ ბოარის ქრუჟოკის ხაზინადრის და სტარშინების ურიგო მოქმედებაზედ. რადგანაც ამართლებთ ხსენებულ ხაზინადარს, ამისათვის ხელ-მეორეთ მოვალეთ ვრაცხ ჩემ თავს უფრო დაწვლილებით გავაგებინო მკითხველებს ქრუჟოკის გარემოება და ხაზინადრის სიმართლე.

მე იმას ვჩიოდი, რომ ქრუჟოკს ხარჯების გამორიცხვით წელიწადში 1,500 მანეთი მოგება რჩებოდა და ორ წელიწადში უფ. სტეფანოვის ხელში ამდენი არა ჩნდა; ვთხოულობდი დაენიშნათ საზოგადო კრება სტარშინებს და ანგარიში გაგვეგო. ამაზედ სტარშინებისაგან ვერა პასუხი ვერ მივიღეთ, ხაზინადარიც ყურს არ იბერტყს და თქვენ, უ. წევრო, ამათ მაგიერ იძლევით პასუხს, რომელშიაც ამბობთ, რომ ამ ხანში სჩანსო მოგება 1,200 მანეთისაო და ამაზედაც უნდა ეუმადლიდეთ ხაზინადარსაო! ძლივს თერთმეტ წელიწადს ეს ერთი კაცი გამოჩნდაო რიგიანი მზრუნველი ჩვენი საზოგადოებისათვის და სხ.

დიდათ მიკვირს ეს თქვენი სიტყვები; ამითი ვითომ გინდოდათ დაგემტკიცებინათ ხაზინადრის ერთგულება? ქარგათ გაიგეთ, რომ ეს საბუთი არ არის! „სხვა“ სულ არა გვაჩვენა-რა მოგებაო და ამას ცოტა მაინც უჩანსო!“ მე თქვენ გკითხავთ: მებატონეს რომ ოცი გლეხი ჰყავდეს და თითო წელიწადში თითო თუმანს აძლევდეს; გაგზავნოს ბატონმა მოურავი ფულის ასაკრეფად და ამან სულ თავისთვის ჩაიდოს ჯიბეში, გაგზავნოს ეხლა სხვა მოურავი და ესეც მსგავსად პირველისა მოიქცეს; გაგზავნოს მესამე და ამან მოკრიფოს სულ ოცი თუმანი, მაგრამ ბატონს ნახევარზედ მეტი არ მიუტანოს,—რას იტყვით: ძალიან მადლობელი გაუხდება ამას ბატონი? ბარაქალის ღირსი იქმნება ეს მოურავი? ამას უთუოდ ხელებზედ აკოცებს, რომ ნახევარი მაინც არ დაუკარგა? თქვენი კი არ ვიცი და ჩემის ჰაზრით ბატონი ამასაც ჭიტლაყს ამოჭკრავს და მოსძებნის ისეთ კაცს, ვინც უფრო ბეჯიდათ დააკმაყოფილებს, იმის მოურავობისა-ნილებას!

ბეთანხმებით, რომ წინაპირველმა ხაზინადრებმა ფულით ვერ გაგვაკვირვეს, მაგრამ სამაგიეროთ იმათ ქრუჟოკი გააწყეს. თქვენი სიტყვით, 1877 წლის თებერვალში სტეფანოვი გახაზინადრდა და კასსიდგან მიიღო 211 მანეთი და 12 კაპ.; 1879 წლის აპრილში გიანგარიშნიათ და კასსაში აღმოჩენილა სულ ამ მიღებული ფულით 1,386 მანეთი და 50 კაპ.; ამაში 1000 მანეთი ბანკის უსახელო ბილეთია და დანარჩენი ნაღდი ფული; ასე, რომ 26 თვეში სტეფანოვს მიღებული 211 მანეთი და 12 კაპ. რომ გამოურიცხოთ, თავისგნით მოგება რჩება 1175 მანეთი და 38 კაპ.

დიდათ მოხარული ვარ, რომ რასაც ვეძებდი და ვნატრობდი, შემასრულდა, გავიგეთ, რომ 26 თვეში ქრუჟოკს 1,175 მ. და 38 კ. მოუგია! დიდი სასწაულთმოქმედებაა, უ. წევრო, ამდენი ფულის მოგება? იცით ეჭრობის ანგარიში? იცით ჩვენი ქრუჟოკის შესავალ-გასალი, რომ ასე ლაპარაკობთ, თითქო თქვენ ჰკოფილიყოთ ყოველ დღე ამისი კონტროლიერი? ასე ამართლებთ ისეთ მუყაით ხაზინადარს, რომელიც დილით 9 საათზედ ჩამოიელის ძამუევის მაღაზიასთან და წაასხამს ქრუჟოკში ქაღალდის მოთამაშეებს, ამავე ნაირად საღილს შემდეგ, —ღამე ხომ სხვა არის;—და თითონ თავს ადგია, ქაღალდს ძალათ ახსნევინებს და უძახის მოთამაშეებს: „მოიტეთ ფული და! ბახსენით ბევრი ქაღალდი და!“ ბანა ამისთანა მუყაითი კაცის ხელში ეს მოგება დასაკვეხია?

დაპირებისა-მებრ მე აქ წარვუდგენ მკითხველს ქრუჟოკის ნამდვილ შემოსავალ-გასავალს:

დაარსებიდგანვე ვიდრე აქამომდე ქრუჟოკსა ჰყავს ასზედ უმეტესი წევრი; თი-

ფელეტონი

პირველი სკრიპკა

(ბადმოკეთებული მოთხრობა)

სკრიპკა პირველად გაკეთდა ერთს პატარა სახელოსნოში, ბარდის ტბის პირზე, იმ ბარდის ტბიას, რომლის სახელშიეე იყნოსება მშვენიერი სუნნელოვანება ლიმონთ და ზეთის ხილთ ჭალათა, წარმოგვიდგება კამკამი ლაჟვარდოვნება იტალიის ცისა. ამ ტბას ჩრდილოეთით სამზღვრავენ პირქუში კლდეები, გართხმულნი თითქმის ტიროლამდინ, რომლის წვერებიდამ ტბას ამაყად გადმოჰყურებენ მედიდური კოშკები.

ტბაზე, რომლის ნაპირებს მოსჭარეიან ზეთის-ხილის და ალიანდრ-ვარდის ჭალები, აწ დასრიალებენ მრავალი ნავები მეთევზურთა; წინათ კი აქ განისმოდა სიმხედრო ძახილი ბველფთა და ბიბელლინთა, თუმცა, რასაკვირველია, იყო ისეთი ალაგებიც, საცა ეს ხმა არ ახწევედა.

ერთ ამ ალაგთაგანი იყო ქალაქი სალო, სადაც სცხოვრობდა ბასპაროს მამა,—ღირიბი მეჩონგურე, რომელიც თავის ხელობას გულ-მოდგინედ ასწავლიდა შვილსა.

დედას ძრიელ ჰსურდა ოდესმე გაეგზავნა თავის შვილი ბეროონაში ჩონგურების გასასყიდად; ის დარწმუნებული იყო, რომ, თუ ამ მშვენიერად შემუშავებულს ჩონგურებს დაუწყებდა ყიდვას იმისთანა სულიკო, როგორიც მისი ბასპარო იყო, უეჭველად ვერც ერთი ვერონელი ქალი ვერ გაუმაგრდებოდა და მისცემდა პირველადვე ნათქვამ ფასს. ის მალ-მალ ეხვეწებოდა ღვთის მშობელს იმაზედ, რომ მის ბასპაროს მოჰმართოდა ხელი და დაეტყვევებინა თვისის სიმშვენიერით ვინმე მდიდარი ქალი. ბევრი ქალიც კი ნატრულობდა მასთან ტრფიალობას; მაგრამ ის მათ არ აქცევდა ყურადღებას.

ერთს, მხოლოდ ერთს ეპყრა ყოველივე ფიქრები ბასპაროსი და ეს ერთი იყო მგალობელ მოლოზნების რიცხვში. მიჩი ხმა, როგორც სხვები გაზაფხულის მზისა, ათბობდა და ანათებდა მთლად ბასპაროს არსებას. ეს მშვენიერი მგალობელი იყო ადრინდელი მეგობარი ბასპაროსი, მისი სიყმაწვილის განუყოფელი ამხანაგი მარიეტტა, ქალი მეთევზისა, რომლის პაწაწა ქოხი იდგა ტბის ნაპირზე.

მარიეტტა ჯერეთ ცხრა დღისა იყო, როცა დედა მოუკვდა. მამა ზრდიდა მას როგორც იყო თანაშემწეობით ერთი ნათესავი დედაბრისა. ბასპარო და მარიეტტა იზრდებოდნენ ერთად, ერთად ცელქობდნენ და თამაშობდნენ.

მარიეტტას ძრიელ უყვარდა თავის მეგობარი, ბევრჯელ ჩააკვირდებოდა ხოლმე იგი მას თავის ცეცხლებრივი თვალებით, მერმე მოეხვევოდა ალერსით და ნაზად ეუბნებოდა: „ჩემო ბასპარო!“

მაგრამ ბასპაროზე უფრო ძრიელად მოქმედებდა ქალის ხმა; იმას ისეთი მშვენიერი ხმა ჰქონდა, რომ მეზობლები დარწმუნებული იყვნენ, ვითომ მა-

ეროვნული

თო წევრი იძლევა ათ მანეთს; ასისა რომ ვიანგარიშოთ, შეადგენს 1000 მანეთს; სატანციო სალამოდამ შემოდის წელიწადში 600 მანეთზე თუ მეტი არა, არც ნაკლები; ბილიარდიდამაც, სულ ცოტას ვიტყვი, 300 მანეთი; ნამწვი სანთლები ისყიდება, მცირეთ რო ვსთქვათ, 100 მანეთის; ძალიან ცოტას ვამბობ,— დღეში იჭრება 10 კალოდი, კალოდში ილებს კრუჟოკი თითო მანეთს; აქედამ კალოდი იგებს 60 კ., გაჭრილი ქალალდიც იყიდება კალოდი 11 კაპ., სულ იგებს ერთი კალოდი 71 კაპეიკს, რომელიც ერთის წლისას შეადგენს 2,591 მანეთს და 50 კ.,—სულ შესდგება 4,591 მან. და 50 კ.

აქ რო წლის შემოსავალს ნაკლებ ვანგარიშობ, ამაში დამერწმუნება ერთობ ძრუჟოკის წევრები და ბატონი სტარშინებიცა. თუ შურით, მტრობით, ანუ ჩემის უცოდინარობით ამ ანგარიშს ტყუვილს ვსწერ და ნაკლები იქნება შემოსავალი, მაშინ ჩემ გასამტყუნებელად ამ ხაზინადარს, თუნდა სხვებსა, სტარშინებმა კარტი დაუბეჭდონ და ისრე ჩააბარონ, და რამდენიც გაიჭრას იმდენი კნიღაში ჩაიწეროს; წევრების შემოსული ფული და ვეჩერების ფული ცხადია და თუ ამდენს არ შეადგენს, მაშინ ნახევენ ყველანი. . .

ბორელი.

(დასასრული შემდეგში)

რუსეთი

„ს.-პეტერბურღის უწყებებში“ დაბეჭდილია შემდეგი ამბავი:

„ლონდონში არსებობს მაკლერის კანტორა უფ. მუნდისა. რუსის რევოლიუციონერმა და ემიგრენტმა ბერცენმა, თავის სიკედილის წინათ, გარდასცა ამ კანტორას კაპიტალი, რომელსაც შემოაქვს წელიწადში სამოცი ათასი მანეთი სარგებელი.

„ეს ფული უნდა მისცემოდა სუბსიდიათ იმ გაზეთს, რომელიც იმავე მიზნითა და მიმართულებით იქნება გამოცემული, რა მიზნითა და მიმართულებათ გამოდიოდა ბერცენის ჟურნალები „პოლიარნაია ზვეზდა“ და „ქოლოკოლი“.

„უველაზე პირველად ეს ფული მოითხოვა გადამდგარ რუსის პოლკოვნიკმა ლავროვმა, რომელმანც ჟურნალის „პერიოდის“ გამოცემა დაიწყო ლონდონში.—ამ ჟურნალს ეძლეოდა წელიწადში სრული 60,000 მან. ოტა ხანს შემდეგ პეტრე ტკაჩოვმა დაიწყო ჟენევაში რევოლიუციური გაზეთის „ნაბატის“ გამოცემა, რომელშიაც ის ქადაგობდა, რომ ახლავე უნდა მოვახდინოთ რუსეთში სოციალური რევოლიუციაო, ხალხში უნდა წავიდნენ ახალგაზდები და ადგომას უქადაგებდნენო და სხვ. ტკაჩევმა მოითხოვა, რომ სუფსიდია იმის გაზეთისათვის მიეცათ. ლავროვმა უარი სთქვა ამ ფულზე, თავის ჟურნალი ძოსპო და სუფსიდია სულ ტკაჩოვს ერგო.

„რამოდენიმე წლის შემდეგ გამოჩნდნენ პირები, რომელთაც თვითონ რუსეთში დაიწყეს რევოლიუციური გაზეთის „ზემლია ი ვოლიას“ გამოცემა და ეს სამოცი ათასი მანეთი ორად გაჰყვეს, ნახევარი ამ გაზეთის გამომცემლებს ერგო და ნახევარიც ტკაჩოვს დარჩა.

„შემდეგ უფ. დრაგომანოვმა დაიწყო აგრეთვე შვეიცარიაში რევოლიუციური ჟურნალის გამოცემა და ამანაც მოითხოვა ამ ფულიდამ წილი. იმასაც ერგო, და ამნაირად ახლა ის 60,000 მან. სამ ნაწილად არის გაყოფილი: [illegible] ათასი მანეთი ეძლევა წელიწადში“.

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი

ფრანცუზული გაზეთები გვაცნობებენ, რომ იმ დღეს (31 ივნისს), რა დღესაც ზულუსებისაგან მოკლული ლუი ნაპოლეონი დაასაფლავეს, ლიონის ბონაპარტისტებს პარაკლისი გარდაუხდიათ ამ ქალაქის ერთს დიდ ეკლესიაში და ამ პარაკლისზე დიდძალი ხალხი დასწრებია, რამდენიმე სენატორი, დეპუტატი, ბონაპარტიელი ღენერლები და აფიცრები. პარაკლისის შემდეგ ლიონის ქუჩებში მოგროვილ ხალხმა (რესპუბლიკელებმა) დაიწყეს თურმე ყვირილი: „ბაუმარჯოს ზულუსებ!“ ბონაპარტისტებმა თავის მხრით მიაძახეს: „ბაუმარჯოს ნაპოლეონს!“ ამის გამო ხალხში არეულობა მომხდარა, ორი პარტიის წარმომადგენლები ერთმანეთს სძგერებიან და ცემა-ტყეპა შექნილა. ოტა ხანს შემდეგ პოლიცია გაჩენილა და მებრძოლნი გაუფანტავთ.

საფრანგეთის სამხედრო მინისტრმა ღენ. ბრელემ ერთი ღენერალი და რამდენიმე აფიცერი, რომელთაც ამ ლიონის ბონაპარტიულ დემონსტრაციაში მონაწილეობა, საშსახურიდამ დაითხოვა.

— ამ თვის პირველს ერთს პარიქის მახლობელს მინდორზე საფრანგეთის ჯარების დახედვა და თამაში ყოფილა. სულ 20,000 კაცი ქვეითი ჯარი და 3,000 ცხენოსანი გამოუყვანიათ სავარჯიშებლად. რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრევის გარდა, ჯარების დახედვის დროს

რიეტტა თავის ხმით ჰხიბლავს ბარდის ტბის თევზებსაც კი და ამით ჰსხნიდნენ, რო მისი მამა სხვაზე უფრო ბევრ თევზებს იჭერდა. „თევზებს ჰსურთ ერთი ახლო ისმინონ მარიეტტას ხმა და—დაიხოცენონ“! ამბობდნენ მეზობლები.

ტბაც კი ძალიან უყვარდა მარიეტტას; წყალში ისე იყო ის, როგორც სახლში. ჭვიდან-ქვაზე ხტომით უშიშრად ბევრჯერ შედიოდა შორს ტბაში; ერთხელ მოსწრობილი ტალღისაგან უთუოდ დაიღუპებოდა, თუ რომ ბასპაროს, რომელიც ახლოვე მისდევდა მას ამ წყალწყალ სეირნობაში, არ გამოეყვანა იგი ნაპირზე. ამის შემდეგ ისინი უფრო შეეტკბნენ ერთმანერთს.

ქალი ხშირად დადიოდა ბასპაროს სახლშიაც და უყურებდა მამა-შვილის მუშაობას, რომლებიც მის იქ მყოფობის დროს თითქო უფრო ხალისიანად მუშაობდნენ; ის დიდხანს რჩებოდა ხოლმე იქ და მერმე, მოეწყინებოდა რა, მიერყდნობოდა სკამის ზურგზე, დაჰლუღავდა თვალებს და იწყებდა ნელის ხმით ღიღინს. ბასპაროს, გატაცებულს მისის სიმღერით, ეოცნებოდა, ეითომც ის არის სადმე ცაში; ეს ხმა აჭრჭოლებდა და ადნობდა მას, თუმცა მისი დედა კი სულ პირჯვარს იწერდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ მარიეტტა ჰხიბლავს თავის ხმით ყმაწვილს, როგორც ტბის თევზებს; ამის გამო დიასახლასი ხანდის-ხან მკვახედ ისტუმრებდა მომღერალს სახლიდან. მაშინ მარიეტტა დაღონებული მიდიოდა ტბისაკენ, ადიოდა „ზღვათ მეფას ტახტზე“ (ესე ეძახდნენ ტბის ყურეში ამაღლებულ კლდეს) და იწყებდა დარდ-ჭმუნვის გამომხატველ სიმღერას. ბასპაროც ველარ სძლებდა სახლში, მუშაობაზე გული უცრუვდებოდა, უნდოდა სულ ფანჯარაში ეცქირნა, საიდგანაც მოჩანდა ტბა და ბოლოს, ვერ მქონი უკვე მოთმინებისა, მიჰფრინავდა ტყისაკენ. შორიდანვე მოესმოდა მას მომღერალის წმინდა ხმა, სჩნდებოდა თვითონაც, რომელიც თვისი მკერდ-მხრებზე გადაფენილი ხშირი თმით და ნიავისაგან მოფრიალე თეთრი ტანისამოსით ამ დროს უფრო ჰგვანდა ფეიას; ყმაწკილი დაემხობოდა მის წინ მიწაზე და სულ-გაკვენდილი აღტაცებით ისმენდა მარიეტტას ზეციურ ხმას. ჩადიოდა მზეც, ცაზე აღეგზნებოდნენ მრავალნი ვარსკლავნი; შორს ტბაზე ჩნდებოდნენ თეთრი წერტილნი—აფრები მეთევზურთ ნავებისა, ყველაზე წინ მოცურავდა ნავი მარიეტტას მამისა; შორიდანვე ისმოდა მისი ყმაწვილებისადმი ალერსის ხმა...

ხანდის-ხან მეთევზეებთან შოდიოდა ბასპაროს მამაც და მიიტანდა რამე მწვანილს თვისის ბაღჩიდგან, რომ ერთად ევახშმათ. ჭახის წინ აანთებდნენ ცეცხლს თევზის მოსახარშად, აქვე გაშლიდნენ სუფრას. ვარსკლავთ ბჭყვრიალი, გრილი სუნნელებით სავსე ჰაერი, წყნარად ღელვილი ტბა ატკბობდა ამ ბუნების შვილთ ბედნიერ შექცევას.

მაგრამ ბედნიერება არ არის ხანგრძლივი.

(დასასრული შემდეგში.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასწრებია სენატისა და ნაციონალურ კრების თავს-მჯდომარეები (მარტელი და ბამბეტტა) და აგრეთვე უცხო ქვეყნის ელჩები.

გაზეთებში იწერებიან, რომ საფრანგეთის ჯარი ამჟამად ძალიან კარგათ გაწრთვნილი და გავარჯიშებული არისო სამხედრო ხელობაშიო.

საბერძნეთი

გაზეთს „ათინის მოამბეში“ იწერებიან, რომ ოსმალეთის წარომომადგენელ დელეგატმა მუხთარ-ფაშამ გამოუცხადა საბერძნეთის მთავრობასაო, რომ ოსმალეთი თანხმა არისო, რომ 60 სოფელი დაგითმოსთ მპირის მაზრაშიო და 200, 000 სული თესსალიაშიო. მაგრამ ამბობენ, რომ საბერძნეთი ამაზედ არ დაკმაყოფილდება.

განცხადება
მიიცემა ქირით

მარიამობის პირველიდან მაღაზია შკაფებით და სხვა რიგი გამართულობით (შეიძლება უამათოთაც) ვარანცოვის პმიატნიკის გვერდზე, ნარიმანოვის სახლებში.

მსურველს დაწვრილებით შეუძლიან გაიგოს აბესალომოვის მაღაზიაში, სა სახლის ქუჩაზე

ქუთაისში

კ. მესხის წიგნის მაღაზიაში

ეყიდება შემდეგი წიგნები:

1) სიტყვანი და მოძღვრებანი—თქმულნი იმერეთის ეპისკოპოსის ბაბრიელი მიერ. ფასი 1 მან. და 50 კ.,

2) იგივე, უკეთესს ქაღალდზე დაბეჭდილი. ფასი 2 მან.

3) რუსული დასაწყისი ენის კუთხი ქართველთათვის (Практическій начальный курсъ рус. языка для друзинъ—შედგენილი ბ. კ—შვილის მიერ. ფასი—60 კაპ. ვინც 20 წიგნზე მომეტებულს იყიდის, ეგზემპლიარი ოცეთმოცდ 50 კაპეიკად.

4) დედა ენა—ი ბოგებაშვილისაგან, 50 კ.

5) სიბრძნე სიცრუის წიგნი ფასი — — — — — 50 კაპ.

6) გუნების კარი—ი. ბოგებაშვილისაგან — — — — 70 კაპ.

7) პატარა ბიბლიოთეკა—იმისივე — — — — — — — 10 —

8) ლოცვანი, შედგენილი მღვ. ღამბაშიძისაგან— — — — 20 —

9) ნინო, მოთხრობა თ. რაფ. ერისთავისა— — — — — 15 —

10) თამარ ბატონიშვილთ—დრამა 5 მოქმ. — — — — 30 —

11) არანკა, პოემა ბ. წერეთლისა — — — — — — 20 —

12) სამზარეულო, ბარ. ჯორჯაძისა — — — — — 50 —

13) ყარამანიანი—პირველი ექვსი წიგნი— — — 30 კ. და 40 კაპ.

14) რძალი,ფული და მაშინიკები—თომ. თუთაევის— — — 30 —

15) ქართული კალენდრები 15—

16) სახარება — — — 25—

17) „ბუტიაობა“ ვოდევილი აკაბოლოვისა, ნათარგმნი ბ. წინამძღვაროვისაგან — — — — 40 —

19) სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი — — — — 30 —

20) მგზანი—ლექსები— 20 —

21) ანუკა ბატონიშვილი 20 —

სასოფლო შკოლებს ყოველგვარი წიგნები მიეცემა ნაკლებ ფასათ.

მაღაზია იმყოფება მიხაილოვის ქუჩაზე, ხაფაზოვის სახლებში კლუბის ქვეშ.

დაიბეჭდა და ეყიდება საქართველოს

კალენდარი

ფასი 20 კაპეიკი

შედგენილი ი. ლიაძისაგან და გამოცემული ექ. ხელაძისაგან.

თფილისში, ყველა წიგნების მაღაზიაში. ბორში: ძამოევის მაღაზიაში. ქუთაისში: კ. მესხის წიგნის მაღაზიაში და ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში. ფოთში: ელისბარ ბაბალოვთან, ოზურგეთში გრიგოლ ჯინჭარაძის მაღაზიაში.—

ვინც 100 ეგზ. ერთათ გაიწერს იმას ეგზემპლიარი 15 კაპეიკათ დაეთმობათ.—

ეყიდება უ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

დაიბეჭდა და ეყიდება

მეოთხე კარი

„ყარამანიანისა“

ქუკიის ხიდზედ, ვართანოვის წიგნის მაღაზიაში მირზოევის დუქნებში.

და აგრეთვე ეყიდება იქვე I, II, III IV, V, VI და VII კარი ყარამანიანის ფასი 40 კაპ.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი . .	9	21	5	18	8	კაპ.	8.	კაპ.
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	85	-	44
ბორი. . . .	11	58	9	43	3	„	1	53
ხაშური . . .	1	29	11	57	4	73	2	42
სურამი . . .	1	44			4	90	2	61
ყვირილა . .	5	49			7	21	3	69
რიონი. . . .	6	57			8	44	4	31
სამტრედია .	7	51			9	66	4	93
ახალ-სენაკი	8	43			10	71	5	47
ფოთი. . . .	9	50			12	24	6	26
ფოთი	9	3						
ახალ-სენაკი.	10	14			1	53	-	78
სამტრედია .	11	5			2	61	1	33
რიონი . . .	12	13			3	84	1	97
ყვირილა . .	1	18	ღამე.		5	3	2	56
სურამი . . .	5	12	1	10	7	34	3	74
ხაშური . . .	5	39	1	37	7	51	3	84
ბორი	7	5	4	8	9	24	4	73
მცხეთა . .	8	50	6	59	11	39	5	82
თფილისი .	9	31	7	6	12	24	6	26

ტელეგრაფი

ოცი სიტყვა თფილისიდამ

	მან	კაპ.
კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში	—	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს,	2	—
პეტერბურღს, ვარშავ	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში.	3	75

ფოჩტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარგარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ ღღე კვირის გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ქაზეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისს და ფოთისაკენ—ყოველ დღე კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

	კაპ
წიგნის გაგზავნა რუსეთში	
და სამზღვარ გარეთ:	
ლიტ წიგნს	3
დაბეჭდილს (სამი მისხალი) .	7

მაზანდა

	მან	კაპ
თფილისი 11 ივლისს.	—	—
ფქვ. თეთ. ბანჯისა ფუთ.	2	20
შქვ. წითელი . .	1	60
ბერი ფუთი . . .	1	30
ბამბა ამერეკნისა, ფუთი.	8	20
—ამერიკისა, ფუთი .	9	40
ბალენტილი ბამბა ფუთი.	10	70
მატყლი თუშური ფუთი.	8	40
—თრაქმისა ფუთი .	4	20
აბრეშუმ. ნუხური სტ.	2	10
ბონი ფუთი . . .	5	80
ბონის სანთელი ფუთი.	7	60
სტეარინის სანთელი ფ.	12	35
ხორცი ძროხისა .ლიტრა	—	81
—ცხვრისა, ლიტრა . .	—	90
სპირტი ვედრო . . .	4	50
შაქარი ბროც. ფუთ .	7	10
—ფხვნილი ფუთი .	5	70
ყავა რგვალი გრვ. .	—	65
ზეთი ქუნჯუთისა ფუთი.	13	20
თამბაქო საშუალო ფუ.	6	70

თფილისის სამკურნალო

ერევნ. მიდ., წინამძღვაროვ. სახლი.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ ღღე ღილის 8 საათიდამ 10-დინ.

ორშაბათს: ლისიცევი და ბარალეგიჩი—შინაგ. ავათმყოფობის.

სამშაბათს: ბერმიშევი და ბაბოვი—გულისა და შინაგ. ავათმყოფ.; რეიხი—თვალის, ჭურავლევი—კანისა და ვენერიულის, ბახუტოვი—ქალისა და ბავშვების.

ოთხშაბათს: ლისიცევი—შინაგ, ბაბაევი—ნერვების.

ხუთშაბათს: ბერმიშევი—შინაგ. ავათმყ. და ჭურავლევი—კანის და ვენერიულის.

პარასკევს იქნებიან: ლისიცევი, ბაბოვი, ბაბაევი და ბახუტოვი.

შაბათს: ბერმიშევი, რეიხი და ჭურავლევი.

ორბეტი — კბილის ექიმი და ბაბაევი მიიღებენ შინ, ღარიბებს მუქთად.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 16 Іюня 1879 г. Типографія Меликова. ბეჭდ. ს. მელიქიშვილი. რედ. ს. მესხი.